არჩევნები მოდის- პოლიტიკური პარტიები უკვე ძალებს იკრებენ

გვ. 2

მოდი ვნახოთ ტრანსფერი? სად წავიდა ტრანსფერი?

გვ. 3

დარიგდება თუ არა სენაკში 100 ლარიანი ვაუჩერები

გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

fasi 50 TeTri # 1 3-10 Tebervali 2014 weli gamodis samSabaTobiT

ფოთის მერიაში მალე საკადრო ცვლილებები დაიწყება - ვის სჭირდება მეოთხე ვიცე მერი და რატომ დადგა ამის აუცილებლობა?

გვ.2

იგეგმება თუ არა ატესტაცია და კონკურსი სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში?!

გვ.3

რატომ გაძვირდა კარტოფილი?

გვ.3

ფოთის თეატრი ახალ შენობაში განახლებული დასით და უამრავი სიახლით გადავა

გვ.7

აქ თქვენი რეკლამის და

მცირე განცხადებების ადგილია

ფოთის მერის როგორც მოსვლას ისე წასვლას ხმაური მოჰყვა

ელზა შონია
ფოთი

უკვე ცნობილია ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვინაობა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ფოთის მერის ფუნქციებს ვასილ თოდუა შეითავსებს, რომელიც მანამდე მერის მოადგილე გახლდათ.

მიმდინარე წლის 16 იანვარს ფოთის აწ უკვე ყოფილმა მერმა დავით სარსანიამ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, საკრებულომ პირველ სხდომაზე მერის განცხადება კვორუმის არარსებობის გამო არ დააკმაყოფილა. საკრებულოს ნაციონალურმა ფრთამ მხარი არ დაუჭირა მერის გათავისუფლებას, მეტიც 22 იანვრის რიგგარეშე საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია "ნაციონალების" წევრებმა დარეჯან ცხვიტარიამ და ვახტანგ დარცმელიძემ მწვავე განცხადებები გააკეთეს მაჟორიტარი დეპუტატის მისამართით, ისაუბრეს ზეწოლებზე და პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს. მანამდე კი სხდომაზევე წარმოადგინეს ე.წ "ჟუჩოკი", მოსასმენი აპარატურა, რომელიც სითბურ ტალღებზე რეაგირებს, ცხვიტარიას განმარტებით: "აპარატურა მათ რამდენიმე თვის წინ ნაციონალური მოძრაობის პარტიის ადგილობრივ ოფისში აღმოაჩინეს, რაზეც თავის დროზე ხმაური არ აუტეხავთ და მხოლოდ ახლა გამოაჩინეს". რაც შეეხება მერის გადადგომის საკითხს, ნაციონალები ერთხმად აცხადებენ, რომ ისინი არ არიან ფეოდალი ბესელიას სათამაშო პაიკები და მისი ნება-სურვილის შესაბამისად არ იმოქმედებენ. "სარსანიას აქვს აღებული ვალდებულებები თანაქალაქელების წინაშე, ის დაპირდა ხალხს ინვესტიციების მოზიდვას და შესაბამისად ასმილიონიტ ბიუჯეტის გაზრდას, ახლა კი ბესელიას სურვილით გადადგა" - აცხადებდნენ "ნაციონალები".

წინასაარჩევნო ხმაურს უწოდებს საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს საკრებულოს წევრი, კოალიცია "ქართული ოცნების"ერთ–ერთი დამფუძნებელი მოგელი ტყებუჩავა: „ეს არის პიარის მიზნით ატეხილი ხმაური, მოსმენები და ჩაგდებები არის ნაციონალების მოგონილი. დასადგენია როდის იქნა ეს აპარატურა ოფისში დამონტაჟებული? კარსაა მომდგარი არჩევნები და მანამდე არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ვინ შეასრულებს მერის მოვალეობას."

შეგახსენებთ, რომ დავით სარსანიას მოსვლაც მერის პოსტზე ასეთივე ხმაურიანი იყო, როგორც მისი წასვლა. ყველას ახსოვს სარსანიას დანიშვნის მოთხოვნით მისი მხარდამჭერების მიერ გამართული ხმაურიანი აქციები. იგი იყო მაჟორიტარის ფავორიტი მერი, თუმცა მათ შორის ურთიერთდაპირისპირება მისი მერად დანიშვნისთანავე დაიწყო. მას ღიად სდებდნენ ბრალს "ნაციონალობაში". ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში სარსანია უარყოფდა ამ ბრალდებას და ამბობდა: "არ დამიზოგავს არც თავი, არც ოჯახი ქართული ოცნების გასამარჯვებლად". სარსანია უკვე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნა.

სარსანიას მერობიდან გადადგომასთან დაკავშირებით ინტერნეტ გამოცემებმა გავრცელეს ეკა ბესელიას განცხადებაც: "ერთი გაცხადდა ღიად, რომ ნაციონალური მოძრაობა კბილებით იცავდა სარსანიას ბოლო დღემდე."

gamomcemeli da direqtori
inga gvasalia - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
elza Sonia - 598 622 807

სტილისტ-კორექტორი - maia CxeiZe - 591 145 709

დისტრიბუციის სამსახურის უფროსი
inga WiTanava
597 39 19 72

კორესპონდენტები:
Teona janaSia (senaki)
592 61 33 14
giorgi seskuria (zugdidi)
555 14 76 24
ana SongiraZe (Cxorowyu)
599 88 97 17

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. Statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშ-



ნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმარტ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეენბის მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -1,78 ლარი ღირს, ერთი ევრო - 2,4 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ფოთის მერიაში მალე საკადრო ცვლილებები დაიწყება – ვის სჭირდება მეოთხე ვიცე მერი და რატომ დადგა ამის აუცილებლობა?

ელზა შონია
ფოთი



გავრცელებული ინფორმაციით მალე ფოთის მერიაში საკადრო ცვლილებები დაიწყება, როგორც ცნობილია ფოთის მერის დავით სარსანიას წასვლის შემდეგ მის მოვალეობას ერთ-ერთი მოადგილე,ვასილ თოდუა ასრულებს. კულუარებში საუბრობენ,რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე იგეგმება კიდევ ერთი ახალი ვიცე მერის შტატის დამატება. რამდენიმე დღეში მერია გეგმავს საკრებულოში ჩააგზავნოს მოთხოვნა მეოთხე საშტატო ერთეულის დამატების თაობაზე. ფოთელი "ნაციონალები" ამაზე გაჩუმებას არ აპირებენ და სავარაუდოდ წინაასაარჩევნოდ ხმაურის ასატეხად ეს ფაქტი მათთვის ერთ-ერთი კოზირია. საშტატო ერთეულის დამატება თვითმმართველობის პრაქტიკაში არახალია,თუმცა,ამის უფლება მერს აქვს იმ შემთხვევაში, როცა დგება ამის განსაკუთრებული საჭიროება თუკი თვითმმართველობის სხვადასხვა რგოლში მომუშავე კადრების რაოდენობა არ არის საკმარისი კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. როგორც კულუარებში ამბობენ საგანგებოდ შექმნილი ახალი ვიცე მერის შტატი კოალიცია ქართული ოცნების ფოთის ორგანიზაციის ლიდერის ირაკლი კაკულიასთვის იქმნება, თუმცა თვითმმართველობაში ამ ფაქტს გაზრდილი ტრანსფერისა და სამუშაოებზე კონტროლის მეტად გამტკიცების აუცილებლობით ხსნიან. ფოთის ამჟამინდელი პირველის ვასილ თოდუას განმარტებით, შტატის დამატების აუცილებლობა იკვეთება იმის გამო, რომ: "როგორც ვიცით მთავრობამ ფოთისთვის წელს გამოყო დამატებით 12 მლნ ლარი, გვექნება სოლიდური კაპიტალ დაბანდება, იზრდება შესასრულებელი სამუშაოები და ამას სჭირდება მეტი კონტროლი . ყოველივე ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ ერთი მოადგილისთვის მძიმე ტვირთი იქნება ამ სამუშაოს შესრულება. "

რაც შეეხება მერიის 60-მდე თანამშრომელს, რომლებიც სარსანიას მერობის პერიოდში ხელშეკრულებით იყვნენ აყვანილი,მარტის ბოლოსთვის ეწურებათ ვადა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ უმეტესობას შეიძლება ხელშეკრულება არ გაუგრძელდეთ. რამდენიმე მათგანს აქვს ექვსთვიანი ხელშეკრულება. მერიის კადრების განყოფილებას ჯერ არ აქვს ინფორმაცია ვინ დარჩება და ვინ დატოვებს სამსახურს მარტისთვის. საკადრო პილიტიკის განსაზღვრა მერის მოვალეობის შემსრულებლის პრეროგატივაა, მას უფლება აქვს არ გაუგრძელოს ვადა, თუ არ სჭირდება დამხმარე შტატი იმ კონკრეტული მომენტისათვის. ასევე ეს დამოკიდებულია ბიუჯეტზე, სადაც არ უნდა მოხდეს სახელფასო გადახარჯვა.

ფოთს 2014 წელს ისევ მოკრძალებული ბიუჯეტი ექნება

ელზა შონია
ფოთი

გასული წელი ხმაურით დამთავრდა ფოთის ბიუჯეტის ირგვლივაც. ქალაქის მთავარი საფინანსო დოკუმენტი წლის ბოლოს 600 ათასი ლარით ვერ შესრულდა. ამ დანაკლისის მიუხედავად თვითმმართველობამ წლის ბოლოს საჯარო მოხელეებს ხელფასის ოდენობის პრემიები დაურიგა, რითაც გაჩნდა ეჭვი, რომ ეს სწორედ ის თანხაა, რომელიც ბიუჯეტს დააკლდა. ცენტრალურ და ადგილობრივ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრემიები ბიუჯეტის დანაკლისის ხარჯზე გაიცა, თუმცა თვითმმართველობაში ირწმუნებიან, რომ ეს ცრუ ინფორმაციაა და ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს ბუნებრივი მოსაკრებლიდან მიუღებელ შემოსულობებსა და არაფინანსური აქტივების კლებას. აუთვისებელი ტრანსფერიდან გარდამავალი ნაშთი გასული საბიუჯეტო წლიდან თვითმმართველობას მიმდინარე წელში გადმოყვა, ეს თანხა შეადგენს 5 მლნ 562 ათას ლარს.

რაც შეეხება ახალ ბიუჯეტს თვითმმართველობამ რეგიონული განვითარების სამინისტროში მოთხოვნა 29 მილიონ ლარზე გააგზავნა, რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. აქედან 12 მილიონ ლარზე სამინისტროდან თვითმმართველობამ მიიღო წინასწარი შეთანხმება. უკვე ამ დროისათვის მთავრობის დადგენილებით ქალაქის მერიამ მიიღო 35 ათასი ლარი რომელიც ქალაქის საკრებულომ 16 იანვარს ასახა ახალ ბიუჯეტში, ეს თანხა უნდა მოხმარდეს საპროექტო სამუშაოების გამოცხადებას. საუბარია ძირითადად ორ პროექტზე, სპეციალური ლიფტების მშენებლობა წმ. ნიკოლოზის ტაძართან მისასვლელად, რომელზეც მოხდა მოლაპარაკება "ეი პი ემ" ტერმინალს, ეპარქიასა და თვითმმართველობას შორის, ხოლო თანხის მეორე ნაწილი მოხმარდება ეზოების კეთილმოწყობისათვის პროექტირების სამუშაოებს. სხვა თანხები ჯერჯერობით მთავრობას ფოთისთვის არ გამოუყვია. თებერვლის ბოლოსთვის ფოთის თვითმმართველობამ უკვე უნდა მიიღოს 6 მილიონ ლაზე თანხმობა და უნდა გამოცხადდეს ტენდერები. მეორე ექვს მილიონზე სავარაუდოდ თანხმობას მიიღებენ 2014 წლის მაისისთვის.

ასე რომ ჩვენი ქალაქის ბიუჯეტი არც მომავალი წლისთვისაა დიდად გამდიდრებული და თავისი ტრანსფერითურთ შეადგენს 32 მილიონ ლარს, თუმცა რამდენად იქნება სატრანსფერო თანხები დროულად ათვისებული და ქალაქის საკეთილდღეოდ გამოყენებული, ამას მომავალი გვიჩვენებს.

არჩევნები მოდის– პოლიტიკური პარტიები უკვე ძალებს იკრებენ

ელზა შონია
ფოთი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. პოლიტიკურმა პარტიებმა ძალების მოკრება და გააქტიურება უკვე დაიწყეს. ჯერჯერობით პირველი კოალიციური პარტია "თავისუფალი დემოკრატებია", რომელმაც რამდენიმე დღის წინ, ფოთში კოსტავას ქუჩაზე ოფისი გახსნა, საკმაოდ ხალხმრავალ პრეზენტაციაზე ყოფილი კონსრვატორი თამაზ სოსელია "თავისუფალი დემოკრატების" ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ მოგვევლინა და თანაპარტიელებს ოფისის გახსნა მიულოცა. "2011 წლიდან ფოთში წარმოდგენილი იყო მხოლოდ საინივიატივო ჯგუფი. 2012 წლის აპრილში წარდგენილი ვიყავი თავმჯდომარედ, თუმცა აქამდე ოფისი არ გვქონდა, ჩვენს პარტიაში მხოლოდ ფოთში უკვე გაწევრიანებულია 726 ადამიანი, ოფისის არქონის გამო სხვადასხვა ადგილებში ვიკრიბებოდით, ახლა კი შესაძლებელია მეტი კონსოლიდაცია და ერთიანობა" – თქვა სოსელიამ. საზოგადოებას მიმართეს თავმჯდომარის მოადგილემ ქეთინო ქაჯაიამ, მდივანმა ანზორ ქუთათელაძემ, გამგეობის წევრებმა გოჩა კორტავამ, მანანა ქოიავამ, გენადი ბელქანიამ და სხვებმა. კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენელმა, ყოფილმა მემარჯვენემ ზვიად შუბითიძემ „თავისუფალ დემოკრატებს" მიულოცა ოფისის გახსნა და ერთიანობისაკენ მოუწოდა, ასევე სიტყვით გამოვიდა "რესპუბლიკელი" გაიოზ ქინქლაძე. როგორც მან აღნიშნა: " ოფისის გახსნა ძალიან კარგია ძალების გაერთიანებისათვის, მეც მომეცა სტიმული გავხსნა ოფისი, მოგიწოდებთ გავერთიანდეთ და ღირსეულად ჩავატაროთ არჩევნები."

როგორც ცნობილია "კოალიცია ქართული ოცნება" ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც ერთად იქნება წარმოდგენილი და ერთ შტაბში იქნება გაერთიანებული.

დარიგდება თუ არა სენაკში 100 ლარიანი ვაუჩერები?!

თეონა ჯანაშია
სენაკი

გავრცელებული ინფორმაციით, თბილისსა და რუსთავში ყველა კატეგორიის პენსიონერზე 100 ლარიანი ვაუჩერი რიგდება, რომლის განაღდება მედიკამენტების შეძენის საშუალებით იქნება შესაძლებელი. „მთავარი თემა სამეგრელოში" დაინტერესდა მსგავსი პროცესი დაიწყება თუ არა სენაკშიც?! ამ კითხვით მივმართეთ სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორს მურმან ბოჯგუას. მან კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია. „ ჩვენ არ ვართ ამის შესახებ ინფორმირებული. სულ ვაკონტროლებ ჯანდაცვის სამინისტროს ვებ–გვერდს, მაგრამ მსგავსი ინფორმაცია არსად არ დადებულა. იქნებ, სოციალური მომსახურების სააგენტოში ფლობენ რაიმე სახის ინფორმაციას ამის შესახებ."-განაცხადა მურმან ბოჯგუამ.

შ.პ.ს. სენაკის დევნილთა პოლიკლინიკის დირექტორიც არ ფლობს ვაუჩერებთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას. „ ჩვენ გვქონდა შედავათები დევნილებისთვის გარკვეულ მედიკამეტებზე და ვმუშაობდით ამ პროგრამით, მაგრამ ვაუჩერების შესაძლო გაცემაზე ჩვენთან არავითარი ბრძანებულება არ შემოსულა."–განაცხადა თამარ მიქაიამ.

იგივე კითხვით მივმართეთ გაკოტრებული „არქიმედეს" კლინიკის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელ მარეხ ადანაიას; „ ეს, ალბათ მუნიციპალური პროგრამაა. ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს პროგრამა არ ხორციელდება. მსგავსი ინფორმაცია ჩვენს ბაზაში არ შემოსულა. რაც შეეხება „არქიმედეს" კლინიკას, ვმუშაობთ იგივე რეჟიმში. არავითარი შეფერხება არ არის. მართალია, კომპანია გაკოტრდა, მაგრამ კლინიკა განაგრძობს ყველა კატეგორიის დაზღვეულთა მომსახურეობას. იგულისხმება საყოველთაო დაზღვევის ყველა კატეგორია: მიზნობრივი ჯგუფი, ვეტერანების პაკეტი და ასაკობრივი ჯგუფი. კლინიკა გადასულია სახელმწიფო დაქვემდებარებაში. კლინიკა მალე, დაახლოებით ორ თვეში, ოფიციალურად გაიხსნება, გვექნება სტაციონარი 12–დან 15 საწოლზე."

100 ლარიან ვაუჩერებთან დაკავშირებით, ჩვენ მივმართეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს სენაკის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ალექსანდრე წითლიძეს, ვაუჩერებთან დაკავშირებით ინფორმაცია არც მან დაადასტურა.

მოდი ვნახოთ ტრანსფერი? სად წავიდა ტრანსფერი?

ელზა შონია
ფოთი

აუთვისებელი ტრანსფერების თემა პოლიტიკურ ჭრილში იქნა გადაყვანილი. როგორც უკვე კულუარებში საუბრობენ, სწორედ ტრანსფერებს შეეწირა ყოფილი მერი დავით სარსანიაც. თვითმმართველობა ცენტრალური მთავრობისკენ იშვერდა ხელს, ქალაქის მაჟორიტარი კი თავის მხრივ მთელი წლის მანძილზე აყვედრიდა და ამადლიდა ხალხს ჩემს მოზიდულ ტრანსფერს მერია თავს ვერ აბამს და ბლოკავსო, საბოლოო ჯამში კი გამოყოფილი ტრანსფერის 12 მილიონიდან ქალაქმა 2013 წელს მხოლოდ 7 მლნ ლარის ათვისება მოასწრო.

საქართველოს 18 რაიონს, მათ შორის ფოთს, რომელმაც ვერ მოახერხა აეთვისებინა სრულად 2013 წელს სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 13 იანვრის სხდომაზე ყველა იმ რაიონს ვისაც მისცა ტრანსფერი,(ფოთმა ბოლო განკარგულება მიიღო 2013 წლის აგვისტოში), მიეცათ უფლება აითვისონ თანხები 2014 წელს. შესაბამისად ადგილობრივ თვითმმართველობაში აცხადებენ, რომ მათ არგუმენტები თავის გასამართლებლად უკვე აღარ სჭირდებათ იმის დასამტკიცებლად, რომ თავის დროზე მართლები

იყვნენ. ამ თემაზე მთელი გასული წლის მანძილზე მიმდინარეობდა მუდმივი დავა და ურთიერთბრალდებები მაჟორიტარსა და მერს შორის. საბოლოო ჯამში იმედგაცრუებულმა მოსახლეობამ მიიღო მოხრეშილი ტროტუარი, დაუმთავრებელი თეატრი და ა.შ. თვითთმმართველობაში მთავრობის მხრიდან ტრანსფერების გადავადების გადაწყვეტილებით კმაყოფილნი არიან. გასული წლიდან აუთვისებელი თანხები ახალ ბიუჯეტში აისახება. 5 მილიონი დაემატება ახალ ბიუჯეტს გასული წლის 13 მილიონიდან, უნდა აღინიშნოს რომ შეუსრულებელი სამუშაოს თანხა 5 მილიონი გასული წლის 31 დეკემბერს არ იჯდა თვითმმართველობის ანგარიშზე და მისი დამატება მხოლოდ ახალი წლიდან მოხდა. გასული წლიდან გადმოყოლილი ინფრასტრუქტურული პროექტებია: სტადიონის მშენებლობა, აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარი, თეატრი. ფინანსთა სამინისტრომ გადაწყვიტა აუთვისებელი ტრანსფერი ახალ ბიუჯეტში აისახოს საქართველოს იმ 18-ივე რაიონში, სადაც ვერ მოხერხდა ტრანსფერების დროული ასახვა თუ ათვისება.

იგეგმება თუ არა ატესტაცია და კონკურსი სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში?!

თეონა ჯანაშია
სენაკი

ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ინტერესით აკვირდება თვითმმარველობებში საკადრო ცვლილებების პროცესს. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თითქმის წელიწადნახევარი გავიდა, მაგრამ ადგილობრივ საკრებულოებსა და გამგეობებში იგივე სახეები მუშაობენ. ეს ფაქტი მოსახლეობაში იმედგაცრუების პროცენტს ზრდის, რაც ალბათ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებზეც აისახება. სწორედ, ასეთი ვითარებაა სენაკის მუნიციპალიტეტში. საჯარო მოხელეები, რომლებიც ცხრა წლის მანძილზე მორჩილად ემსახურებოდნენ, შემდეგ კი საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში კბილებით იცავდნენ ნაცმოძრაობას, დღესაც ებღაუჭებიან და ნებისმიერი მეთოდებით ცდილობენ დაკავებული ადგილების შენარჩუნებას. ზოგი მათგანი კი უბოდიშოდ გადაბარგდა კოალიციაში და ვითომ მეხოტბე გახდა ახალი ხელისუფლების.

ახალი მთავრობა, როგორც ჩანს, სერიოზულად მუშაობს ამ საკითხებზე. ამის დასტური სამეგრელო- ზემო სვანეთის გუბერნიაში მიმდინარე პროცესებია, რაც საკადრო ცვლილებებს უკავშირდება. როგორც სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია იანვრის ბოლოდან გუბერნიაში შიდა ატესტაციის პროცესი უნდა დაიწყოს, რის შემდეგაც თებერვალში გამოცხადდება კონკურსი.

ჩატარდება თუ არა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაშიც, ისევე როგორც სამეგრელოს გუბერნიაში ჯერ ატესტაცია და შემდეგ კონკურსი, ამაზე ზუსტი პასუხი გამგეობიდან ჯერჯერობით ვერ მივიღეთ. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ახლად დანიშნული უფროსის გოჩა ლაშქარავას განმარტებით: “ მსგავსი რამ, რაც ატესტაციასა და კონკურსს შეეხება, სენაკის თვითმმართველობებში ჯერჯერობით არ იგეგმება.” ამის პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელი, გოჩა დგებუაძე გამგეობაში ახალი შტატების დამატებას აპირებს, ხოლო გამგებლის ერთ-ერთი მოადგილის ვეფხვია ვეფხვაძის ნაცვლად ნატო ფულარიას დანიშვნას. ამ ინფორმაციას გოჩა ლაშქარავა არ ადასტურებს და ჭორს უწოდებს.

რატომ გაძვირდა კარტოფილი?

ელზა შონია
ფოთი

საქართველოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფასებში ერთ-ერთი ძირითადი საკვები პროდუქტი კარტოფილი გახლდათ. ეს მცენარე უხსოვარი დროიდან გამოიყენება საკვებად,მას შემდეგ რაც ადამიანებმა გაიგეს, რომ მისი ბოლქვები ნოყიერი და სასარგებლო იყო. ჩვენს ბაზრებზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში კარტოფილის ფასი თითქმის გაორმაგდა და 1.60 - 1.80 ლარამდე გაძვირდა. როგორც ექსპერტები ამბობენ ამის მიზეზი ჭარბი ექსპორტი, ქვეყანაში კარტოფილის ნაკლები მოსავალი და იმპორტის მხრივ შექმნილი პრობლემები გახდა. როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ჯერ არ აქვთ 2013 წლის კარტოფილის მოსავლის ზუსტი სტატისტიკა.

მოსახლეობის თქმით კარტოფილის ფასი პირდაპიროპორციულია დოლარის კურსთან. ეს ბაზარში ყველა მოვაჭრემ კარგად იცის და ფასსაც დოლარის კურსის მიხედვით სწევს. მიმდინარე წლის დასაწყისიდან ეროვნულმა ვალუტამ საკმაო ინფლაცია განიცადა, შესაბამისად ფასებმა მაღლა აიწია და ყველაზე მეტად გაძვირდა კარტოფილი. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დოლარის კურსის ცვლილება ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა 2007 წელს უკვე იცოდა, რომ კარტოფილი გაძვირდებოდა. ალბათ გახსოვთ მისი სატელევიზიო გამოსვლა, სადაც ხელში

უჭირავს კარტოფილი და ამბობს: თუ მოვაჭრე მიხვდება, რომ ქვეყანაში ჭარბია ფული, ის აუცილებლად გააძვირებს კარტოფილს.” დღესდღეობით ბაზარზე 1 კილოგრამი კარტოფილის საშუალო ფასი 1 ლარიდან 1,5 ლარამდე და ზოგჯერ მეტია. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კარტოფილის გაძვირების მთავარი მიზეზი არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების შედეგად მიღებული არასაკმარისი მოსავალი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ საზღვრებზე დაიწყო ხარისხის რეალური კონტროლი და მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული დაავადებული კარტოფილი განადგურებულ იქნა.

სანამ ახალი მოსავალი მოვა ალბათ კარტოფილზე ისევ ეს ფასები შენარჩუნდება. დიასახლისთა უმეტესობა უკვე უარს ამბობს მის შეძენაზე, რადგანაც ბაზარზე გამოტანილი კარტოფილის უმეტესი ნაწილი უხარისხო და საკვებად უვარგისია.

ფოთში ახალი ელექტროგადამცემი ხაზი აშენდა

მარი ჯავახია
ფოთი

ფოთში ახალი 24 კმ სიგრძის 0,4 კილოვოლტის ელექტროგადამცემი ხაზი აშენდა, რის შედეგადაც ქალაქის 13 ქუჩას უკვე მიეწოდება ხარისხიანი და უწყვეტი ელექტროენერგია. როგორც გავარკვიეთ სს ,,ენერგო-პრო-ჯორჯია'' ფოთში მსგავს სამუშაოებს ამჟამად კიდევ 4 ქუჩაზე ატარებს. როგორც ,,ენერგო-პრო-ჯორჯიას'' წარმომადგენლებმა გვითხრეს აღნიშნულ ქუჩებზე ქსელი ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იყო და ამიტომ სწორედ ამ ქუჩებით დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები ეტაპობრივად მთელი ქალაქის მასშტაბით განხორციელდება. ფოთის მომსახურეობის ცენტრში ჩატარებული და მიმდინარე სამუშაოების შესამოწმებლად რეგიონული ფილიალის ხელმძღვანელობა იმყოფებოდა. დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალის დირექტორის ირაკლი ვახტანგიძის თქმით ,, ენერგო-პრო-ჯორჯია'' წარმატებით აგრძელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ამ დროისთვის ხდება იზოლირებული სადენების მონტაჟი, რომლებსაც ჩაანაცვლებენ ახალი სადენებით. ამ სამუშაოებით გაუმჯობესდება ელექტროენერგიის მიწოდება და რაც მთვარია კმაყოფილნი დარჩებიან ჩვენი აბონენტები''.

ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით კმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნულ ქუჩებზე მცხოვრები მოქალაქეები და იმედოვნებენ, რომ სადენების გამოცვლით მოგვარდება არსებული პრობლემები. მათი თქმით ,,პატარა ნიავზეც კი ქრებოდა ელექტროენერგია, იმედია ამ სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ ეს პრობლემა არ გვექნება''. ,,სულ რამდენიმე დღეა უკვე რაც გამოცვალეს სადენები და მიუხედავად ქარებისა ერთხელაც არ ჩამქრალა ელექტროენერგია''- ასეთია ჩატარებული სარეაბილიტაციო ქუჩებზე მცხოვრებლთა მოსაზრება.

,,ენერგო-პრო-ჯორჯიას'' წარმომადგენლების განმარტებით კომპანია მომავალშიც წარმატებით გააგრძელებს ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომელიც ენერგომომარაგების და მომსახურეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

მათი განმარტებით ქსელის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ავარიული გათიშვების მინიმუმამდე დაყვანისა და აბონენტების უწყვეტი ელექტრომომარაგების მიზნით, სს ,,ენერგო-პრო-ჯორჯიას'' დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ ფილიალში სარეაბილიტაციო სამუშაოები ყველა მომსახურეობის ცენტრშია დაგეგმილი.

შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნას სახალხო დამცველიც ითხოვს

ისევე როგორც საქართველოს პროფკავშირები, სახალხო დამცველიც შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ინსტიტუციის შექმნას ითხოვს, რომელიც სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებას გააკონტროლებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა, 28 იანვარს ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში მოპოვებული ნახშირის ტრანსპორტირებისას მაღაროს უფროსის მოადგილის

ტარიელ ქასრაშვილის დაღუპვის გამო მწუხარება გამოთქვა.

“2007 წლიდან საწარმოებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს არარსებობის გამო ფატალური შედეგებისა და დაზიანების კატასტროფულად მზარდი ტენდენციაა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია 2010-2011 წლის სტატისტიკა, რომელიც საწარმოო უბედური შემთხვევების პიკი იყო'',- ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წელს სამუშაო შესრულებისას დაშავებულთა რაოდენობა იყო 102, გარდაცვლილთა რაოდენობა – 42. 2011 წელს დაშავებულთა რაოდენობაა 137, გარდაცვლილთა რაოდენობა – 54. სამწუხაროდ, ეს შემაშფოთებელი ტენდენცია დღემდე გრძელდება.

ომბუდსმენის ოფისის განცხადებით, შემაშფოთებელი მონაცემების გამო საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის 2 ივლისის რეკომენდაციით საქართველოს მთავრობას მიმართა, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაიწყონ ინიცირება შრომის უფლების ერთ–ერთი მთავარი კომპონენტის – დასაქმებულთა ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფისათვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, 81 კონვენციის, 29 კონვენციის, 155 კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის მე–3 მუხლის რატიფიცირება.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია შრომის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუციის (მაგალითად, შრომის ინსპექცია) შექმნასაც ითვალისწინებდა.

“რაც უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, დასაქმებულებს მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ევროკავშირის სტანდარტებთან ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოებას'' – აცხადებს სახალხო დამცველის ოფისი.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები, თუმცა აუცილებელია მაქსიმალურად სწრაფად დაიგეგმოს და გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

www.gtuc.ge

მოსწავლეები გვწერენ... რუბრიკა

ჩემი სკოლა...

ჩემი სკოლა ძალიან მიყვარს, მაგრამ ზოგი რაღაცეების გამოსწორების სურვილი მაქვს. მინდა ჩემს სკოლაში მეტი კომპიუტერული ტექნიკა იყოს. ჩემი მომავალი პროფესია კომპიუტერს უკავშიდება, ალბათ ამიტომ მაქვს ასეთი სურვილი. მე და ჩემი მეგობრები ვცდილობთ კარგადაც ვისწავლოთ და შემდეგ გართობაც მოვახერხოთ. ყოველი დღის გათენებას დიდი სიხარულით ველოდები, რადგან ვიცი, რომ სკოლაში ყოველი დღე ახალი თავგადასავალია. მინდა ისიც გითხრათ, რომ ჩემს სკოლაში სწავლის კარგი მეთოდებია, გვყავს კარგი მასწავლებლები, რომლებიც გვეხმარებიან საგნების უკეთესად ათვისებაში, ასევე მასწავლებლები ჩვენი უფროსი მეგობრები არიან. ისინი მუდამ ცდილობენ სკოლიდან ყოველდღიურად რაიმე ახალი, კარგი და საინტერესო წავიღოთ. ჩემს სკოლაში კარგადაა განვითარებული სპორტი. აქ რამდენიმე სასპორტო სკოლაა, ხელბურთი ჩემი საყვარელი სპორტია და ხშირად ვთამაშობ. მეამაყება, რომ ამ სკოლაში ვსწავლობ. როგორც ვიცი ჩემი სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქში, მას ასწელზე მეტი ხნის ისტორია აქვს და დიდი ნიკო ნიკოლაძის სახელს ატარებს. ამ პატარა წერილით მინდა გამოვეხმაურო ჩემს მეგობრებს, მასწავლებლებს, ყველანი ძალიან მიყვარხართ!

q.foTis #2 sajaro
skolis me-7-e klasis
moswavle ika dundua

შეხვედრა წალენჯიხის რაიონის პედაგოგებთან

მარი ჯავახია
ფოთი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების წარმომადგენლებს ბოლო სამი წლის შემდეგ მიეცათ შესაძლებლობა წალენჯიხის რაიონის საჯარო სკოლების პედაგოგებთან პირველი შეხვედრა გაემართათ. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სპმთპ-ის პრეზიდენტი მაია კობახიძე, საორგანიზაციო დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და სამეგრელოს სპმთპ-ის საქალაქო ორგანიზაციების თავჯდომარეები. შეხვედრა გაიმართა სპმთპ-ის მიერ გაწეული საქმიანობის, სტრატეგიების, განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებისა და სპმთპ-ის ჩართულობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით. სპმთპ-ის პრეზიდენტმა წალენჯიხელ პედაგოგებს 2010-2012 წლებში სპმთპ-ის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებზე ესაუბრა. როგორც შეხვედრისას გაირკვა სპმთპ-ის მიმართ მიმდინარე პროცესებისა, ორგანიზაციის კრიზისიდან გამოსვლისა და განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე წალენჯიხის პედაგოგები ამ ყველაფერზე ინფორმაციას არ ფლობდნენ. აღნიშნულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა მონაწილეები, რომ მხოლოდ ერთად ყოფნით არის შესაძლებელი მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვა. პროფკავშირული შეხვედრები ქვეყნის მასშტაბით ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს, რომლის მიზანია განათლების სფეროში დასაქმებულთა პრობლემების კვლევა და მონიტორინგი. დემოკრატიული, თავისუფალი პროფკავშირის არსისა და ამოცანების შესახებ ცნობიერების ამაღლება ხელს შეუწყობს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურად წარმართვას.

თვითმმართველობის კოდექსის პროექტი სტრასბურგში განიხილეს

TviTmmarTvelobis kodeqsis proeqti strasburgSi, evrosabWos adgilobrivi da regionuli xelisuflebebis kongresis pirvelma pirebma ganixiles.

saqarTvelos regionuli ganviTarebisa da infrastruqturis ministris pirveli moadgile Tengiz SergelaSvili da mTavrobis kancelariis TviTmmarTvelobebTan da regionebTan urTierTobis departamentis ufrosis moadgile irakli melaSvili vizitis farglebSi evropis sabWos adgilobrivi da regionuli xelisuflebebis kongresis generalur mdivans, andreas kifers შეხვდნენ.

როგორც შეხვედრიდან გაირკვა, ევროსაბჭოს მაღალჩინოსნები საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტის ძირითად პრინციპებს დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობებისთვის რეალური უფლებამოსილებების მინიჭების თაობაზე იზიარებენ. ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი საკუთარ რეკომენდაციებს თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით საქართველოში უახლოეს პერიოდში გამოაგზავნის. ქართული დელეგაცია იმედოვნებს, რომ რეკომენდაციები კოდექსთან მიმართებით პოზიტიური იქნება.

"საქართველოს მთავრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ითანამშრომლოს ევროსაბჭოსთან განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თვითმმართველობის რეფორმას. განვიხილეთ როგორც მთლიანად კოდექსი, ისე მისი ცალკეული მუხლები. შემიძლია ვთქვა, რომ ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი მთლიანობაში მხარს უჭერს იმ გზას, რომელსაც საქართველოს მთავრობა ირჩევს", – განაცხადა შეხვედრის შემდეგ თენგიზ შერგელაშვილმა. ამასთან, ირაკლი მელაშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში საქართველოში გამოიგზავნება დასკვნა, რომლის მიღებაც კანონპროექტის მეორე მოსმენამდე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის გენერალური მდივნის, ანდრეას კიფერის განცხადებით, კონგრესი თვალყურს ადევნებს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას, რომლის მიზანსაც რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება წარმოადგენს: "შარშან მონიტორინგის ანგარიშის გაცნობის შემდეგ, კონგრესმა რეკომენდაციები შეიმუშავა, ხოლო ამჟამად, მონიტორინგის შემდგომი ღონისძიებების სახით, მუდმივ კონტაქტში ვიმყოფებით. ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ, გავეცნოთ საკანონმდებლო დოკუმენტის საბოლოო ვერსიას და განვიხილოთ საპარლამენტო კენჭისყრის შედეგები მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად. მინისტრის მოადგილე ჩვენი კონგრესის მომდევნო შეხვედრაზე უკვე მოვიწვიეთ",– განაცხადა ანდრეას კიფერმა.

wyaro: ~kulturis saerTaSoriso centris~ mier momzadebuli eleqtronuli biuleteni #6

http://www.lsg.ge/uploadedFiles/files/kodeqsi%20meeqvse.pdf

რა ცვლილებები და პროცედურები იგეგმება თვითმმართველობის კოდექსის პროექტის განხილვისას

ადგილობრივი თვთიმმართველობის ახალი კოდექსი, რომლის მიხედვითაც რამდენიმე თვეში არჩევნები უნდა ჩატარდეს, ჯერჯერობით შეთანხმებული და მიღებული არ არის. თუმცა, მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იანვრის ბოლოს პარლამენტში განხილვა დაიწყება და კოდექსსაც მალე მიიღებენ.

parlamentis regionuli politikisa da TviTmmarTvelobis komitetis Tavmjdomaris pirveli moadgile gia JorJoliani ambobs, რომ თვითმმართველობის კოდექსის პროექტში ბოლო ვარიანტს სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დამატებია, მაგრამ დრო საკმარისია, რათა ალტერნატიული წინადადებები კვლავ დააყენოს როგორც ოპოზიციამ, ასევე არასამთავრობო სექტორმა:

"წინადადებები განხილვამდე 24 საათით ადრე უნდა იყოს დაყენებული. როგორც მე ვიცი, 24 იანვარს იწყება რიგგარეშე სესია და თვითმმართველობის კოდექსის განხილვაც მაშინ დაიწყება. ის ვარიანტი, რაც მეორე მოსმენით გამოიტანა მთავრობის წარმომადგენელმა, არსებითად შეთანხმებული იყო მთავრობასთან და მასში რაიმე ცვლილება არ იგეგმება. თუმცა, პლენარულ სხდომაზე რა იქნება, არ ვიცი. რაც შეეხება განცხადებებს, რომ თითქოს პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის იყო ამ საკითხზე რაიმე დისკუსია, ვერ დავადასტურებ. ეს არ იყო დისკუსია უსუფაშვილსა და ღარიბაშვილს შორის, იყო საერთო დისკუსია და მასში როგორც უმრავლესობის წარმომადგენლები, ასევე სხვადასხვა პარტია მონაწილეობდა",– ამბობს ჟორჟოლიანი.

მისივე განმარტებით, პარლამენტში თვითმმართველობის კოდექსის განხილვის საკითხი პროცედურულად შემდეგნაირად წარიმართება:

"მეორე მოსმენით მთავრობამ უკვე წარმოადგინა პროექტი, პლენარული სხდომა ამ წარმოდგენის შემდეგ შეწყდა. ახლა უკვე მუხლობრივი განხილვაა დარჩენილი. შემდეგ იქნება კენჭისყრა და მესამე მოსმენა. რაც შეეხება კანონპროექტის ჩავარდნის შესახებ მოსაზრებებს, ვერავის დავეთანხმები, რომ შეიძლება კანონპროექტი ჩავარდეს. თუმცა, წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ყველა დეპუტატს თავისუფალი მანდატი აქვს, მაგრამ არა მგონია, კანონპროექტი ჩავარდეს", – აღნიშნავს ჟორჟოლიანი.

თვითმმართველობის კოდექსში აუცილებლად შესატან ცვლილებებზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თუმცა, კონკრეტულად რა ცვლილებებს დათანხმდება პარლამენტი, მათთვის უცნობია.

~saqarTvelos adgilobrivi TviTmmarTvelobis erovnuli asociaciis~ aRmasrulebeli direqtori, evropis sabWos adgilobrivi TviTmmarTvelobis qartiis damoukidebel eqspertTa jgufis wevri daviT melua აცხადებს, რომ თვითმმართველობის კოდექსში 70-მდე შენიშვნა იყო შესატანი, მათგან რამდენიმე – არსებითად მნიშვნელოვანი:

"დაახლოებით 70-ზე მეტი ცვლილება იყო საკომიტეტო მოსმენებზე და იქედან რა არის კოდექსში შესული, ჯერჯერობით არ ვიცი. საბოლოო ტექსტი თუ არ გამოქვეყნდა, კონკრეტულ საკითხებზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება. რაც შეეხება ჩვენს წინადადებებს და რეკომენდაციებს, მიგვაჩნია, რომ უფლებამოსილების სფერო დასახვეწია, დასამატებელია ოთხი უფლებამოსილება. ქონების გადაცემის დარგში იყო ცვლილებები საჭირო. შავით თეთრზე უწერიათ, რომ მუნიციპალიტეტმა, თვითმმართველობამ უნდა გადასცეს ქონება ცენტრალურ ხელისუფლებას და იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკრებულო არ მიიღებს გადაწყვეტილებას, 45 დღის ვადაში ეს ქონება გადაცემულად ითვლება; ეს უნდა შეეცვალათ. ასევე ზედამხედველობაში იყო შესატანი ცვლილებები რევიზიის ჩატარებასთან დაკავშირებით, რაც უნდა ამოღებულიყო კოდექსიდან. ჩვენ ახლა ვწერთ დასკვნის სახით ამ რეკომენდაციებს და თითოეულ დეპუტატს და კომიტეტს ცალ-ცალკე გავუგზავნით",– აცხადებს მელუა.

კოდექსში აუცილებლად ჩასასწორებელ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრება აქვთ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებსაც.

saparlamento umciresobis warmomadgeneli, parlamentis regionuli politikisa da TviTmmarTvelobis komitetis wevri gia TevdoraZe აცხადებს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ძირითადი შენიშვნა ქონებრივ და ფისკალურ თემატიკას ეხება:

"უახლოეს დღეებში, "ნაციონალურ მოძრაობას" ექნება პოლიტსაბჭოს სხდომაზე შეკრება, სადაც კონკრეტულად ჩამოვაყალიბებთ ჩვენს პოზიციებს თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით. ჩვენი მთავარი შენიშვნა კვლავ ეხება ქონებრივ და ფისკალურ თემატიკას, რაც, ვფიქრობთ, რომ კანონპროექტის ყველაზე ნაკლოვანი მხარეა. ასევე გვაქვს გარკვეული შენიშვნები არჩეული გამგებლის და მერის გადაყენების პროცედურებთან დაკავშირებით. ლოგიკის ნორმებში ვერ ჯდება ის საკითხი, რომ ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული მერი და გამგებელი საკრებულომ გადააყენოს. იმპიჩმენტის პროცედურა აბსოლუტურად სხვა არის და პრეზიდენტის მიერ ხორციელდება. პირდაპირ არჩეული მერის და გამგებლის გადაყენების წესი კი, იგნორირებას უკეთებს ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანს. ასევე არის ბევრი ნიუანსური საკითხი, რაც დახვეწას მოითხოვს. თუ კოდექსის განხილვა პარლამენტში ჩავარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას ქართული ამომრჩევლის წინაშე, რომ ის თავისი მოქმედების პერიოდში ხელს შეუწყობდა დეცენტრალიზაციის პროცესს. იქნება თუ არა ეს ოპოზიციისთვის წამგებიანი, ამაზე წინასწარ კომენტარის გაკეთება გამიჭირდება",– აღნიშნავს თევდორაძე.

მისივე თქმით, დეცენტრალიზაციის პროცესი საფუძვლიანად უნდა დაიწყოს და ხელისუფლებამ კეთილგონიერება უნდა გამოიჩინოს, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება კონსესუსით მოხდეს:

"იმ 9 წლის მანძილზე, როდესაც ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში, საჭირო იყო უფრო კონცენტრირებული ხელისუფლება, რადგან სხვა გამოწვევები იდგა ქვეყნის წინაშე. ახლა კი ვფიქრობთ, რომ ჩვენი საზოგადოება არის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ეს პროცესი საფუძვლიანად უნდა დაიწყოს და მეტი დეცენტრალიზაცია მოხდეს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ეშინია რეგიონებისთვის გარკვეული უფლებამოსილებების გადაცემის, ირჩევს ძალიან ცუდ გზას ქვეყნისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, ავტორიტარიზმზე გადის. გარკვეული ცვლილებები შევთავაზეთ ხელისუფლებას და იყო მცდელობა, რომ ერთობლივად მიგვეღო გადაწყვეტილება ბევრ საკითხთან დაკავშირებით. შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ამ კანონპროექტზე, მაგრამ უმრავლესობას კეთილგონიერება უნდა ეყოს, რომ კონსესუსით მივიღოთ ის კანონი, რომელიც იდეალური თუ არა, წინგადადგმული ნაბიჯი მაინც იქნება დეცენტრალიზაციის და ქვეყნის განვითარებისკენ", – აცხადებს თევდორაძე.

თვითმმართველობის კოდექსის სამთავრობო პროექტში ცვლილებების შეტანის ნაკლებ ალბათობას ხედავს evropis sabWos adgilobrivi da regionuli TviTmmarTvelobebis kongresis adgilobrivi TviTmmarTvelobis evropuli qartiis eqspertTa sabWos wevri saqarTvelodan, ~adgilobrivi demokratiis qselis centris~ Tavmjdomare daviT losaberiZe. მისი განცხადებით, თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი პრინციპები უკვე მიღებულია:

"მუხლობრივი განხილვა დეტალურად ახლა დაიწყება მეორე მოსმენაზე. მესამე მოსმენა კი რედაქციული ხასიათის შენიშვნებს დაეთმობა, რომელიც ფორმალობაა, მაგრამ აუცილებელია, რადგან სტილისტურად უნდა ჩასწორდეს კოდექსის პროექტი. მნიშვნელოვანი ცვლილება, რაზეც მოსახლეობამ არაფერი იცის, კოდექსში არ იგეგმება. პრინციპების მიხედვით, მე რამდენადაც ვიცი, რაც ამოსაღები იყო კოდექსიდან, უკვე ამოღებულია, გვაქვს კომპრომისული ვარიანტი. მცირე იურიდიული საკითხები შესაძლოა შეიცვალოს, მაგრამ პრინციპი არ შეიცვლება, თუ საერთოდ არ იქნა კანონპროექტი ჩაგდებული, რისი შანსიც ნაკლებია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მათ შორის, არის მცირე შანსიც ამ კანონპროექტის ჩაგდების, მაგრამ მაშინ ამ ხელისუფლებამ უნდა თქვას, რომ მთლიანად წინა ხელისუფლებების კურსს აგრძელებს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება რეფორმას, რაც პირდაპირი დარტყმა იქნება სახელისუფლებო რეიტინგზე. თუმცა, ხელისუფლებას აქამდე ამის სურვილი არასდროს გამოუთქვამს. თუ არჩევნები ძველი სისტემით ჩატარდება, ეს ოპოზიციური ძალებისთვის სრულ კატასტროფას ნიშნავს, რადგან ყველაფერს დაკარგავენ, მმართველი პარტია კი ვერაფერს მოიგებს. ამის შეგნება და გააზრება, მგონი, ყველას კარგად მართებს",– აცხადებს ლოსაბერიძე.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 27 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შესახებ მოხსენება მოისმინა, ხოლო პლენარულ სხდომაზე მის განხილვას მუხლობრივად იანვარში, რიგგარეშე სესიაზე დაუბრუნდება.

მომზადა საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრმა (GMMC), ფონდის "ღია საზოგადოება – საქართველოს" მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რეკომენდაციები თვითმმართველობის საკითხებზე მთავრობისა და პარლამენტისთვის

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ “კვლევის – “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის ანალიზი, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები“ პრეზენტაცია გამართა, რომელსაც მთავრობის, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კვლევა განხორციელდა “ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით.

~samarTliani arCevnebisa da demokratiis saerTaSoriso sazogadoebis~ aRmasrulebelma direqtorma nino lomjariam თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით პრობლემურ საკითხებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამგვარი საკითხები კოდექსში ისევ რჩება, რაზეც მთავრობის და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ: “განსაკუთრებით საყურადღებოა მერებისა და გამგებლებისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი. ასევე, ხელისუფლებას აქვს ინიციატივა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საჯარო მოხელეების რიცხვი შემცირდეს, თუმცა, მიზეზი გაუგებარია. ამასთან, გვაქვს შეკითხვები ბიუჯეტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გვინდა წინ წამოვწიოთ სათემო თვითმმართველობის საკითხი, რაც კოდექსის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებული არ არის. ჩვენი რეკომენდაციები ემყარება საერთაშორისო პრაქტიკას, იმ ქვეყნების გამოცდილებას თვითმმართველობების რეფორმების კუთხით, რომელთაც ეტაპობრივად მოახდინეს სოციალისტური და საბჭოთა სისტემის გარდაქმნა დემოკრატიული თვითმმართველობის ფორმად და რომელთა გამოცდილებაც ყველაზე ახლოსაა ჩვენ რეალობასთან. რეკომენდაციები, ასევე ითვალისწინებს შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისობას ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიასთან,“ – აცხადებს ლომჯარია.

წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, ყველაზე დიდ გამოწვევას თვითმმართველი ერთეულების საზღვრების დადგენა და დროულ ვადებში მათთვის სტატუსის მინიჭება წარმოადგენს. როგორც დამოუკიდებელმა მკვლევარმა nino samveliZem პრეზენტაციისას აღნიშნა, თვითმმართველი ერთეულების ზრდისა და მათი დაკომპლექტებისას რამდენიმე რეკომენდაციაა გასათვალისწინებელი: “შესაბამისმა სამთავრობო კომისიამ ეფექტურ ვადებში წარუდგინოს მთავრობას მუნიციპალიტეტების გაყოფასთან დაკავშირებული წინადადებები და ადგილობრივი არჩევნების დანიშვნამდე ერთი თვით ადრე მოხდეს მუნიციპალიტეტების საზღვრების დადგენა, მათთვის სტატუსის მინიჭება. ამასთან, მუნიციპალიტეტების გაყოფა უნდა წარიმართოს ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური კონსულტაციების ფონზე.

რაც შეეხება თვითმმართველი ერთეულების აღმასრულებელი ორგანოს პირდაპირი წესით არჩეული მერის და გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადებას, მიგვაჩნია, რომ ეს მექანიზმი საერთოდ უნდა ამოიღონ კოდექსის პროექტიდან“,– აღნიშნა სამველიძემ.

“მისასალმებელია ის ფაქტი, რომ თვითმმართველობების ბიუჯეტი იზრდება, თუმცა, ვფიქრობთ, რომ აუცილებელი იქნება შესაბამისი კვლევის წარმოება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გაიზრდება წარმოდგენილი ცვლილებების (გადასახადების ახალი ფორმულებით, ასევე, კაპიტალური ტრანსფერების, გათანაბრებითი ტრანსფერის გადანაწილების მოდიფიცირებით) შედეგად ბიუჯეტი და რამდენად საკმარისი იქნება ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ასევე, უნდა შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფილი იქნება სოფლების და დაბების ფინანსური დამოუკიდებლობა ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ დროულ ვადებში მოხდეს გადასაცემი ქონების განსაზღვრა და მისი გადაცემის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის“, – აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში.

გარდა ამისა, კვლევის ორგანიზატორებმა ყურადღება გაამახვილეს საშტატო ერთეულების შემცირების საკითხზე და აღნიშნეს, რომ მთავრობამ უნდა განუმარტოს საზოგადოებას, რას ემსახურება კადრების შემცირება და, თუ ეს დაკავშირებულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასთან, რა პრიორიტეტებზე მოხდება დაზოგილი თანხების გადანაწილება. აგრეთვე, კონკრეტულად უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მოხდება დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობის შემცირება.

სამხარეო თვითმმართველობა, რომელიც ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას და სეპარატიზმის საფრთხეებთანაც იყო გაიგივებული, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევისას, პრობლემატური არ აღმოჩნდა.

“მიგვაჩნია, რომ რეგიონალური მმართველობისთვის თვითმმართველობის ფუნქციების მინიჭება არ არის ფედერალიზმის გამოხატულება, რადგან ეს სისტემა მოქმედებს ევროპის ბევრ სახელმწიფოში და ასოცირდება რეგიონული მმართველობის ეფექტურობასთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონპროექტის ავტორებმა საპატრიარქოს, ოპოზიციური პარტიების, ცალკეული მოქალაქეების პოზიციის გათვალისწინებით, გადაწყვიტეს მასში ცვლილებების შეტანა, რამაც გააუქმა სამხარეო დონეზე თვითმმართველობის ელემენტები. კანონპროექტის ბოლო ვერსიის თანახმად, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და მისი განხორციელების პროცესში. თუმცა, გაუგებარია, რეალურად რა სარგებლის მომტანია საბჭოების შემოღება, თუ მათ მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია ექნებათ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ სამკაციანმა შემადგენლობამ უზრუნველყოს უმცირესობათა და საკრებულოს სხვა წევრების (და არა მარტო, თავმჯდომარის ან მისი მოადგილის) აზრის გათვალისწინება. ვფიქრობთ, აღნიშნული საბჭო ამჟამინდელი კომპეტენციით ვერ შეძლებს არსებული პრობლემების გადაჭრას და მისი დანერგვა რაიმე კონკრეტულ სიახლეს არ მოტანს. ამიტომ, ჩვენი რეკომენდაციაა, სამხარეო საბჭოს უფლებამოსილების გაზრდა დარჩეს განხილვის საკითხად, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში დეცენტრალიზაციის ფასეულობების დამკვიდრებასთან; იმისათვის, რომ სამომავლოდ სამხარეო მმართველობა და გუბერნატორის თანამდებობა იყოს ეფექტური, საჭიროა არსებობდეს ძალთა დამაბალანსებელი მექანიზმი, რაც კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით გამყარებული იყო“, – აღნიშნა სამველიძემ პრეზენტაციისას.

რაც შეეხება საზოგადოებრივ და საუბნო საბჭოებს, რომლებსაც მოქალაქეთა ჩართულობა უნდა უზრუნველყოს და თვითმმართველობის კოდექსის პროექტიდან დროებით ამოიღეს; კვლევაში აღნიშნულია, რომ მასზე მუშაობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს: “ვფიქრობთ, სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების ჩამოყალიბება წარმოადგენს თვითმმართველობის უმთავრესი ამოცანის – სამოქალაქო ჩართულობის გააქტიურების მექანიზმს. რაც შეეხება უბნის საბჭოების შექმნას თბილისში, მიგვაჩნია, რომ ეს პრაქტიკა უფრო გააძლიერებდა ადგილობრივი თვითმმართველობის მექანიზმებს დედაქალაქში. ამ კუთხით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და მკაფიოდ განისაზღვროს, რა ფუნქციები და კომპეტენცია ექნება აღნიშნულ საბჭოებს მომავალში“, – აღნიშნა სამველიძემ.

თვითმმართველობების სამართლებრივ და დარგობრივ ზედამხედველობის საკითხთან დაკავშირებით, კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია ამ პროცესში იუსტიციის სამინისტროს როლი გაიზარდოს: “კოდექსის ბოლო ვერსიაში თვითმმართველობის სამართლებრივი ზედამხედველობის კომპეტენცია ენიჭება საქართველოს მთავრობას. მას აქვს უფლება შეაფასოს მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების სფეროში გამოცემული ნორმატიული აქტები და მიიღოს შესაბამისი ზომები. თუმცა, უკეთესი იქნება იუსტიციის სამინისტროს როლი გაძლიერდეს სამართლებრივი ზედამხედველობის პროცესში – იუსტიციის სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უკეთ შეძლებს სამართლებრივი დასკვნის შემუშავებას და რეკომენდაციების მომზადებას, ვინაიდან მას აქვს შესაბამისი პრაქტიკა და მისთვის უფრო ადვილი იქნება ამ ფუნქციის შესრულება.“

პრეზენტაციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დისკუსია გაიმართა. დისკუსიის საგანი თვითმმართველი ერთეულების ზრდა, ფორმირება, აღმასრულებელი ორგანოს პირდაპირი წესით არჩევა და უნდობლობის გამოცხადების საკითხები იყო.

დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო, აგრეთვე, თვითმმართველი ერთეულების ფინანსური დამოუკიდებლობა და ქონების განკარგვა, სამხარეო და საზოგადოებრივი თვითმმართველობა. რიგ საკითხებში მთავრობის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან კვლევის შედეგებს და აცხადებენ, რომ თვითმმართველობის რეფორმა კოდექსის მიღებით არ მთავრდება და პრობლემატური საკითხების გადაწყვეტას დრო სჭირდება; დაპირებები კი, რომელიც მათ საზოგადოებას მისცეს, ეტაპობრივად შესრულდება.: “ის, რომ რაღაც დაიგეგმა და შესრულებული ჯერ არ არის, არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ შესრულდება. რეფორმა კოდექსის მიღებით არ დამთავრებულა. როდესაც საუბარია ქალაქებისთვის თვითმმართველი სტატუსის მინიჭებაზე, ამ ეტაპზე 7 ქალაქი დავამატეთ 5 თვითმმართველ ქალაქს და ეტაპობრივად, 2017-2018 წლამდე მოხდება სხვა ქალაქების დამატებაც. რაც შეეხება მუნიციპალიტეტებში შტატების შემცირების საკითხს, რაც პრეზენტაციისას პრობლემად იქნა დასახელებული, ვიცით, რომ მუნიციპალიტეტებში არანორმალურად გაბერილი შტატებია; ამიტომ არის საჭირო დაბალანსება – საუბარია სტრუქტურულ ოპტიმიზაციაზე. კვალიფიკაციის ასამაღლებლად უნდა ჩატარდეს სპეციალური ტრენინგ-კურსები და ამის მიხედვით მოხდეს შტატების დაკომპლექტება. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ყურადღება გამახვილდა, ზედამხედველობის ნაწილია, თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ევროსაბჭოს ექსპერტების მხრიდან მასზე ყველაზე ნაკლები შენიშვნები იყო. გუბერნატორს ზედამხედველობის ფუნქცია აღარ აქვს, რასაც ხშირად ახსენებენ. ამასთან, აღვნიშნავ, რომ თებერვლის დასასრულისთვის გვექნება საგზაო რუკა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ დეცენტრალიზაციისას. დონორებთან მიმდინარეობს შეჯერება და უახლოეს მომავალში გვეცოდინება, როგორ გავაგრძელებთ დისკუსიებს, შეხვედრებს და რა საკითხებთან დაკავშირებით“,– განაცხადა saqarTvelos regionuli ganviTarebis da infrastruqturis ministris pirvelma moadgilem Tengiz SergelaSvilma.

შეხვედრაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმაც: “ის დაპირება, რაც “ქართულმა ოცნებამ“ მისცა საზოგადოებას, რომ ორდონიანი თვითმმართველობა იქნებოდა, საერთოდ აღარ შესრულდება. ამ რეფორმით, ცვლილება მხოლოდ ის არის, რომ მერების და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა მოხდება, რაც მისასალმებელია. თუმცა, პოლიტიკურ საკითხად რჩება საკრებულოს მხრიდან მათი გადაყენება.

ამასთან, კოდექსში შედის გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელიც ხელისუფლების “გამს უფთავებლად“ რჩება – თუ გუბერნატორი საკრებულოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ბიუჯეტის საკითხში, მაშინ ამ გადაწყვეტილებას ბლოკავს. რაც შეეხება, მუნიციპალიტეტებში შტატების შემცირებას, ამას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. 12 ათასი ადამიანის გაშვებას აპირებენ და ცდილობენ, ეს კანონით გააკეთონ. ამასთან, წინასწარ ვამბობთ, რომ გუბერნატორთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოებს პარტიული შეკრებებისთვის გამოიყენებენ და ამას თავად კანონი დაავალდებულებს კოდექსის მიღების შემდეგ“, – განაცხადა შეხვედრაზე saparlamento opoziciis warmomadgenelma ~nacionaluri moZraobidan~ xaTuna gogoriSvilma.

შეგახსენებთ, რომ თვითმმართველობის კოდექსი მეორე მოსმენით პარლამენტმა 25 იანვარს მიიღო და სულ მალე კოდექსის მესამე მოსმენით მიღება მოხდება.

მომზადა საქართველოს მონიტორინგის ცენტრმა (GMMC), ფონდის – “ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

კულტურა

ფოთის თეატრი ახალ შენობაში განახლებული დასით და უამრავი სიახლით გადავა

ელზა შონია
ფოთი

ფოთის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრის ახალი შენობა,რომლის მშენებლობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს სავარაუდოდ თებერვლის თვეში გაიხსნება. იგეგმება დრამატული თეატრის საზეიმო ვითარებაში გახსნა. ქალაქს ეყოლება ბევრი სტუმარი, რომ ფოთელებთან ერთად იზეიმონ ეს დღე. მანამდე კი ფოთის თეატრი კულტურის სახლის შენობაში რჩება და აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას. დეკემბრის ბოლოს ფოთელ მაყურებლებს ქონდათ შესაძლებლობა ეხილათ კიდევ ერთი პრემიერა ჩეხოვის პიესა ''ალუბლის ბაღი''. ახალი წლიდან კი ყოველ პარასკევს გადის სპექტაკლი ''იაპონური ზღაპარი''.

თეატრის მმართველი თენგიზ ხუხია უამრავ ახალ პროექტს ჰპირდება ფოთელ მაყურებლებს და როგორც თავად ამბობს ეს იქნება ძალიან საინტერესო ქალაქის კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის: „ახალ შენობაში გადასვლასთან ერთად ჩვენ ვგეგმავთ დასის გაფართოებას, ვფიქრობ, აუცილებელია ახალი სისხლის გადასხმა, უკვე გვყავს ოთხი ახალგაზრდა, რომლებმაც მიიღეს განათლება ბათუმის კულტურის უნივერსიტეტში. წელსაც მიღწეულია შეთანხმება, რომ შეიქმნას ფოთის მიზნობრივი ჯგუფი, სადაც გათვალისწინებულია ათი ადგილი. მოვუწოდებ ყველა მსურველს, ყველა ახალგაზრდას, ვინც დაინტერესებულია შეისწავლოს სამსახიობო ოსტატობა, ჩვენ გავუწევთ კონსულტაციას, ასევე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას საკრებულოსთან, რომ ამ ახალგაზრდების სწავლა დაფინანსდეს ნაწილობრივ მაინც ადგილობრივი სახსრებით. აქვე მინდა განვმარტო, რომ მიზნობრივი ჯგუფი ნიშნავს იმას, რომ მათთან გავაფორმებთ ხუთ წლიან კონტრაქტს და ექნებათ სამსახური ფოთის თეატრში'' - გვითხრა თეატრის მმართველმა თენგიზ ხუხიამ.

როგორც გავიგეთ ახალ თეატრში შესაძლებელი იქნება მასტერკლასების ჩატარებაც სამსახიობო საქმეში დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის. როგორც ხელმძღვანელობა პირდება ფოთელებს ამ შენობას ექნება დიდი ფუნქციური დატვირთვა ქალაქისათვის.

ჟორა დამენია—80 წლის იუბილე!

თეონა ჯანაშია
სენაკი

28 იანვარს აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჟორა დამენიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ყველასათვის საყვარელ მსახიობს 80 წელი, ხოლო სცენაზე მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა. ჟორა დამენია დღესაც ახალგაზრდული შემართებით დგას სცენაზე. იუბილეზე ბატონმა ჟორამ განასახიერა რამდენიმე ეპიზოდი მის მიერ ნათამაშევი როლებიდან. მაყურებელი სიცილს ვერ იკავებდა, რადგან კომედიური ჟანრი სწორედ ის ჟანრია, სადაც მსახიობი მთლიანად ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს. მისი პერსონაჟებისთვის დამახასიათებელია მეგრული სიფიცხე, გონებამახვილობა და ენამოსწრებულობა, რაც მთლიანობაში ეთვისება მეგრულ ხასიათს. სწორედ,ეს იწვევს მაყურებლის აღფრთოვანებას. არაჩვეულებრივი იყო მის მიერ შესრულებული თეკლათელი ჭიჭიკო გოგოლის როლი ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიდან».

საღამოზე ასევე ნაჩვენები იყო კადრები იმ სპექტაკლებიდან, სადაც მას არაერთი საინტერესო სახე შეუქმნია 60 წლის განმავლობაში.

შესრულდა საცეკვაო ნომრები თეატრის მსახიობების შესრულებით. თეატრის დირექტორმა თენგიზ თოფურიძემ კი,რამდენიმე საესტრადო სიმღერა მიუძღვნა იუბილარს. ნაჩვენები იყო ასევე ფოტოები იმ მსახიობების, რომელებმაც თავიათი წვლილი შეიტანეს სენაკის თეატრის 130 წლიან ცხოვრებასა და მოღვაწეობის საქმეში. მსახიობს საიუბილეო თარიღი მიულოცეს მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმაც, რომლის ხელმძღვანელი ლერი ჯალაღონია გახლავთ.

დარბაზში იმყოფებოდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრებიც. საღამოზე სიტყვით გამოვიდა გოგი ქავთარაძე, დიმა ჯაიანი, ფილმში „თოჯინები იცინიან» მთავარი როლის შემსრულებელი მერაბ თავაძე. მისი თქმით სამეგრელო განსაკუთრებით უყვარს და ასევე აინტერესებდა ენახა სენაკის თეტრის უნიკალური შენობაც, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული.

„ასეთი დღეები ყოველთვის უნდა ტარდებოდეს. ჟორა დამენია არის ისტორია სენაკის. მე ბავშვი ვიყავი მაშინ, ჟორა დამენიას სპექტაკლებზე ვარ გაზრდილი. იგი არის სინდის-ნამუსი ჩვენი, უპატიოსნესი პიროვნება. მეგრულად რომ იტყვიან: „წირილ კოჩ, ტომბა კოჩ!» მითამაშია სენაკის თეატრში,მაგრამ უკვე როგორც სოხუმის თეატრის მსახიობს. გასტროლებზე რომ ჩამოვდიოდი, ამ სცენაზე ბევრჯერ მითამაშია» – განაცხადა დიმა ჯაიანმა.

„ შესანიშნავი დღე იყო, გულით გაკეთებული. იგრძნობოდა, რომ ეს იყო ერთი კაცის კი არა, სენაკის მთელი კულტურული ცხოვრების შესანიშნავი დღე. გილოცავთ ამ დღეს!»– განაცხადა გოგი ქავთარაძემ.

„ ისე ვარ დაბნეული, შეიძლება ვერაფერი გითხრათ. არ ვიცოდი ასე, რომ დამაფასებდნენ. 58–მდე როლი მაქვს შესრულებული. მათ შორის– ბევრი მთავარი როლი. პირველად ვითამაშე „ხევისბერ გოჩა»–ში ონისე,„მოკვეთილში»–ჩონთა და ა.შ.. ყველა სპექტაკლი წარმატებითა და დიდი ანშლანგით მიმდინარეობდა. ბევრი კომედიური როლი მაქვს შესრულებული. „შაითან ხიხოში» მხოლოდ დარაჯის როლი მქონდა და ხალხი მე მიყურებდა და იცინოდა. არადა სულ ორიოდე სიტყვას ვამბობ ამ როლის შესრულებისას, მიუხედავად ამისა მაყურებელი მაინც კვდებოდა სიცილით. ყველას ძალიან დიდი მადლობა ამ სითბოსთვის» – გვითხრა ჟორა დამენიამ.

მსახიობს იუბილე მიულოცეს ასევე მეგობრებმა, ახლობლებმა, თანამდებობის პირებმა.

სპორტი

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

მარი ჯავახია
ფოთი

26-27 იანვარს თბილისში კალათბურთში 14 წლამდე ჭაბუკთა შორის, საქართველოს ჩემპიონატის პირველი და მეორე ტურის შეხვედრები ჩატარდა. 26 იანვარს ფოთის გუნდი „ირაო'' შარშანდელ საქართველოს ჩემპიონ „ჰიუნდაის'' დაუპირისპირდა და დაძაბულ ორთაბრძოლაში ანგარიშით 69 : 59 დამარცხდნენ.

27 იანვარს კი მომდევნო მეტოქე იყო შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი „შ.ს.ს.–ს'' გუნდი, რომელიც ფოთელმა კალათბურთელებმა დიდი ანგარიშით 89 : 66 დაამარცხეს. მომდევნო შეხვედრები 9 – 10 თებერვალს თბილისში და გორში გაიმართება.

პირველობა ძიუდოში

გასულ კვირას ზუგდიდში ჭიდაობა „ძიუდოში'' სამეგრელო –ზემო სვანეთის პირველობა ჩატარდა. მასში ფოთელი მოჭიდავეებიც ასპარეზობდნენ. პირველობაზე მიღებული შედეგები ასე გამოიყურება: პირველი ადგილი 55 კგ. წონით კატეგორიაში ღვთისო მჭედლიძემ დაიკავა, იმავე წონაში მეორე ადგილზე ოთარ ოჩიგავა გავიდა, მესამე ადგილის მფლობელი 46კგ. წონით კატეგორიაში ანდრო არზიანი გახდა, 50კგ. წონით კატეგორიაში კი მესამე ადგილზე გიული ნარსია გავიდა, ხოლო 60კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი სანდრო ოჩიგავამ დაიკავა.

„ზამთრის მირაჟის„ 15 გამარჯვებული უკვე დასახელდა

ელზა შონია
ფოთი

რამდენიმე დღის წინ დასრულდა გამოფენა-კონკურსი ''ზამთრის მირაჟები'', რომელშიც ფოთის ყველა საჯარო სკოლა იღებდა მონაწილეობას. სკოლის მოსწავლეთა 200-მდე ნამუშევარი ფოთის მთავარ საგამოფენო დარბაზში გამოიფინა. საკონკურსო კომისიამ მათგან 15 საუკეთესო ნამუშევარი შეარჩია და გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებითა და ტკბილეულით დაასაჩუქრა. ღონისძიების ორგანიზატორი ფოთის კულტურის სამსახური და საგამოფენო დარბაზი გახლდათ. ბავშვების ნამუშევრები ხალასი ფერებით, პეიზაჟთა მრავალფეროვნებითა და სისადავით გამოირჩეოდა. როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს საუკეთესოს გამორჩევა ძალიან გაუჭირდათ, რადგან ბევრი კარგი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. დარბაზის დირექტორის მოადგილემ ედემი კოკაიამ მოუწოდა მშობლებს და პედაგოგებს მეტი ყურადღება დაუთმონ ხატვის ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს: ''ძალიან აღფრთოვანებული ვართ ამ ბავშვების ხედვით, ისეთ დეტალებზე აქვთ გამახვილებული ყურადღება, ბევრ პროფესიონალს შეიძლება გამორჩეს, შეიძლება ყველა მათგანი ვერ გამოვიდეს მხატვარი, მაგრამ მათ უკვე თავისი გამორჩეული სამყარო ექნებათ და ეს ძალიან კარგია. ''

ერთ-ერთი გამარჯვებული ნახატის ავტორი ბექა დუნდუასთვის ეს პირველი წარმატებაა: ''ძალიან მიხარია რომ 15 საუკეთესო ნამუშევარს შორის აირჩიეს ჩემი ნამუშევარიც, კიდევ ვაპირებ მონაწილეობას მსგავს კონკურსებში. ამ გამარჯვებით ძალიან გახარებული ვარ.'' სიგელებით დააჯილდოვეს ასევე გამარჯვებულ მოსწავლეთა ხელოვნების პედაგოგებიც.

სასარგებლო რჩევები

samzareulo

saWiro ingredientebi: 1 ცალი მოზრდილი ვარია, 100 გრამი კარაქი, 4 თავი ხახვი, 3 საჭირო ინგრედიენტები: 1 ცალი მოზრდილი ვარია, 100 გრამი კარაქი, 4 თავი ხახვი, 3 კბილი ნიორი, 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 1 ჩაის ჭიქა მწვანე ტყემალი, 2 ცალი კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, 3-4 ძირი ქინძი, კამა და ოხრახუში, მარილი და წითელი წიწაკა კი – გემოვნებით.

momzadebis wesi: ვარია დაჭერით ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, წითელი წიწაკა, აურიეთ და მოათავსეთ ფართო, დაბალ ქვაბში. ჩაუმატეთ კარაქი, დაახურეთ თავსახური და მოშუშეთ, სანამ არ შეწითლდება. დაამატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ნიორი, კარგად მოურიეთ, დაახურეთ სახურავი და გააგრძელეთ შუშვა. როცა ხახვი კარგად დარბილდება, ჩაამატეთ ტყემალი. შეაზავეთ მწვანილით, ხმელი სუნელითა და მარილით. ბოლოს ჩაამატეთ წმინდად დანაყილი, წყალში გახსნილი ნიგოზი. ერთხელ წამოდუღების შემდეგ, გადმოდგით ცეცხლიდან და შეურიეთ ათქვეფილი კვერცხის გული, ისე ფრთხილად, რომ არ აიჭრას. სუფრაზე მიიტანეთ ლანგრით, ზევიდან კი მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა და ოხრახუში.კბილი ნიორი, 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 1 ჩაის ჭიქა მწვანე ტყემალი, 2 ცალი კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, 3-4 ძირი ქინძი, კამა და ოხრახუში, მარილი და წითელი წიწაკაკ – გემოვნებით.

iciT Tu ara rom

ადამიანის სიცოცხლის სამოცდაათი წლის განმავლობაში გული ორ მილიარდ ექვსას მილიონჯერ იკუმშება და ორას ორმოცდაათ მილიონ ლიტრ სისხლს გადატუმბავს!

****

ზღვის ვარსკვლავს ხუთი სხივი, ხუთი თვალი, ხუთი საცეცი, ხუთი ღვიძლი, ხუთი ლაყუჩი და ხუთი დიდი ნერვი აქვს, პირი და კუჭი მხოლოდ ერთი, თავი კი საერთოდ არ გააჩნია.
ერთნახევარი მილიარდი კუბური კილომეტრი – აი რამდენი წყალია დედამიწის ზედაპირზე. იგი 1 370 323 000 000 000 000 ტონას იწონის, მარტო ყინული კი ოცდახუთი მილიონი კუბური კილომეტრია.

****

ადამიანს, რომელმაც პირველად დაინახა უჯრედი, რობერტ ჰუკი ერქვა. ეს მოხდა 1665 წელს ინგლისში. ადამიანში სამოცი ტრილიონი უჯრედია. ყოველი დღე-ღამის განმავლობაში მათი დიდი ნაწილი კვდება, მაგრამ სანამ დაიღუპებოდნენ, თავიანთ ახალგაზრდა შემცვლელებს ქმნიან.

კროსვორდი

Tarazulad:

1. ტყუილი, მოლანდება
3. ირემი, თხა და
5. რამდენი ნადირი მოკლა როსტევანმა
8. როსტევანის ვეზირი
9. მიჯნური არაბულად
10. რაინდი
13. სწრაფად
14. რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს
16. ჯამბაზი
17. მიჯნურობას ვინ ვერ მიხვდება
18. კარგი ცხენი

Sveulad:

1. წაგებულს რამდენი დღე უნდა ევლო თავშიშველს
2. იშვიათი
4. მარგალიტის თვალი
6. რამდენი მონა გაიყოლა როსტევანმა ისრის მომრთმევად
7. ძვირფასი ნივთები, ქსოვილები
8. რა ერეოდა ხოლმე ტარიელის ცრემლს
11. რა ფერი იყო ტარიელის ცხენი
12. სამოთხის ბაღი
14. თოვლნარევი ქარი
15. რამდენი ნადირი მოკლა ავთანდილმა



ანეკდოტები

– როგორაა ინგლისურად «სიდედრი აღარ ჩამოდის»?

– იეესსს

****

წარწერა საბავშვო ბაღის კარზე:

„მთვრალ მამებზე ბავშვები არ გაიცემა”

****

- ოფიციანტ!
- ჰაჯან!
- ჩემს წვნიანში ტარაკანი ფართხალებს.
- თავდაღმა და გულაღმა?
- გულაღმა
- ეგ მოცეკვავეა, კლიენტებისთვის „ბრეიკდანსს” ცეკვავს.

****

მეგრელი მოხვდება უკაცრიელ კუნძულზე სამი წელი ადამიანი არ ენახა ერთ დღეს გაიხედა და ნახა ნავით ქალი მოცურავს,დაუძახა ქალმა მოდი და რაც სამი წელი ყველა დღე გენატრებოდა იმას მოგცემო, მიდის მეგრელი და ფიქრობს ნეტა აჯიკა მოაქვს ამ შობელძაღლსოო.

****

ღამით ცოლი აღვიძებს ქმარს. ქმარი აბუზღუნდება.
– რა გინდა?

– რაღაც მინდა გკითხო?

– ხო მიდი მალე მკითხე, მეძინება.

– ასეთი პატარა ხელფასის პატრონს რა ჯანდაბა გაძინებს?

****

-უნდა გავეყარო ცოლს! გაგიგონია, 6 თვე გავიდა, ხმას არ მცემს.
-არ გაგიჟდე ბიჭო,სად იშოვი დღეს მაგნაირ ქალს

****

სვანური სიბრძნე:
-იცით თუ არა, რომ ჭამის წინ ფეხების დაბანით, ხელებიც თავისთავად დაგებანებათ?

****

მეგრელი და სვანი გაიჭედებიან ლიფტში.სვანი დაიწყებს ყვირილს:
-გვიშველეეეეეეეთ....გვიშველეეეეეეეთ.......
მეგრელი ეტყვის მოდი ერთად ვიყვიროთო.
-სვანი დაიწყებს.-ერთააააааად,ერთააааადდდდდდდ.

gazeTis xelmomwerTa sayuradRebod!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში” სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს დისტრიბუტორად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში” სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ “მთავარი თემა სამეგრელოში“შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 341417,

მთავარი თემა სამეგრელოში TQVENI PROBLEMEBIS KVALDAKVAL

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.